საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/163 "14" სექტემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

პ. სილაგაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2021 წლის 13 სექტემბერს მიღებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე პაატა სილაგაძის განცხადება.

პაატა სილაგაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, მათ შორის 10 წელი იგი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც, კერძოდ იგი 2006-2008 წლებში იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პაატა სილაგაძე დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ 2021 წლის 15 სექტემბრიდან, 5 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე